



ევრაზიის
თანამშრომლობის
ფონდი

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ შეხვედრა

ოქმი #4

30 ოქტომბერი, 2015 წ.

ქ. თბილისი

პლატფორმის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ მორიგი სამუშაო შეხვედრა 2016 წლის 17-18 მარტს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ოფისში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც მმართველი კომიტეტის წევრები, ისე ახლადგანწევრიანებული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის:

- ვიქტორ ბარამია - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
- სიმონ გაბრიჭიძე - ველფეარ ფაუნდემენი
- კახა დაუშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
- მიხეილ კუკავა - საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
- ნინო ლოლაძე - რეგიონის განვითარების ცენტრი
- ლია როინიშვილი - კავშირი სამოქალაქო განვითარებისთვის
- სულხან სალაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- თამარ ხორბალაძე - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

შეხვედრის პირველ ნახევარში მმართველმა კომიტეტმა პლატფორმაში განწევრიანების მსურველი სამი ორგანიზაციის - „სამოქალაქო ინიციატივის“, იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოება „იმედისა“ და „პარტნიორობის ადამიანის უფლებებისთვის“ მიღების მიზანშეწონილობაზე იმსჯელა. ამ კონკრეტულ განმცხადებელთა აპლიკაციები დადებითად შეფასდა და მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება მათი განვერიანების თაობაზე, თუმცა ამავდროულად აღინიშნა, რომ აუცილებელია, პლატფორმა ახალი წევრების მიღების ერთიან პრინციპზე შეთანხმდეს. საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შემდეგ მმართველი კომიტეტის წევრებმა დაადგინეს, რომ მომავალში პლატფორმაში განვერიანების ძირითად წინაპირობას ორგანიზაციის ქმედუნარიანობა და პლატფორმის საქმიანობაში გარკვეული წვლილის შეტანის სურვილი და შესაძლებლობა უნდა წარმოადგენდეს. ამასთან ერთად, დაისვა პლატფორმის წესდებით წევრი ორგანიზაციის სტატუსის შეჩერების წესის განსაზღვრის საკითხიც.

შეხვედრის მეორე ნაწილში პლატფორმის წევრებმა შიდა სამუშაო ჯგუფების თემა განიხილეს. მმართველი კომიტეტის წევრებიც და ახლადმიღებული ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შეთანხმდნენ, რომ პლატფორმის სამუშაო ჯგუფების შექმნა უნდა მოხდეს არა თემატური, არამედ ცენტრალური/რეგიონული დაყოფის საფუძველზე, იმისდა მიხედვით, თუ თავისი საქმიანობიდან გამომდინარე რომელ ჯგუფს მიაკუთვნებს თავს თითოეული წევრი ორგანიზაცია. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგის არსებული მექანიზმების სიტუაციური თუ შედარებითი ანალიზის ჩატარება ვერ მოხერხდა, სწორედ სამუშაო ჯგუფების პასუხისმგებლობა იქნება იმ საკითხებზე შეთანხმება, რომელთა წამოწვევაც მოხდება ნოემბრის ბოლოსთვის დაგეგმილ საჯარო ფორუმზე.

ფორუმზე წარსადგენ მოხსენებათა შესაძლო თემებად პლატფორმის წევრებმა დაასახელეს შემდეგი: ბიუჯეტის პროექტების საჯარო განხილვები თვითმმართველობებში; რა პროგნოზების გაკეთება თუ გამოწვევების იდენტიფიცირება არის შესაძლებელი 2016 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში (2015 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულებაზე დაყრდნობით, ე.წ. lessons learned), ბიუჯეტის მონიტორინგის რესურსი სხვადასხვა სამინისტროებში; ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტის დაგეგმარების კუთხით არსებული პრობლემები; თვითმმართველი ქალაქების მიერ დაფუძნებული საწარმოების კორუფციისგან დაცვის მექანიზმები და სხვ.

პლატფორმის შეხვედრებისთვის უფრო გეგმიური ხასიათის შექმნის მიზნით მმართველმა კომიტეტმა სამუშაო შეხვედრების ჩატარების დღედ განსაზღვრა ყოველი თვის მესამე ხუთშაბათი, სავარაუდო დროდ კი - 14:00 საათი.

